



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კადეტთა კორპუსი



left

კადეტთა კორპუსი, პრივილეგიური სამხედრო სასწავლებელი თავადაზნაურული წარმოშობის ახალგაზრდებისათვის. პირველად 1732 დაარსდა პეტერბურგში. 1917-თვის რუსეთის იმპერიაში 29-მდე კ. კ. იყო. 1871, საქართველოში რუსეთის იმპ. ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, „თერგდალეულთა“ ჯგუფმა ი. ჭავჭავაძის

მეთაურობით გადაწყვიტა, რომ იმპერატორისათვის მისართმევ ადრესში შეეტანა მოთხოვნა თბილისში უნ-ტის გახსნის თაობაზე. თავადაზნაურობის მარშალმა რ. ანდრონიკაშვილმა თვითნებურად უარყო ეს გადაწყვეტილება და იმპერატორს წარუდგინა სხვა ადრესი, რ-შიც უნ-ტის ნაცვლად თბილისში კ. კ-ის გახსნას ითხოვდა (თავს იმით იმართლებდა, რომ უნ-ტში სწავლება ფასიანი იქნებოდა, კ. კ-ში კი – უფასო). ამ საქციელის გამო ი. ჭავჭავაძემ დაწერა ორი პამფლეტი: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“.

1875 სამხ. გიმნაზიის (დაარსდა 1871) ბაზაზე გაიხსნა კ. კ., რ-შიც იღებდნენ სამხ. სამოქალაქო და სამხ. განათლებას, ენიჭებოდათ უმცროსი ოფიცრის წოდება, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება სამხ. აკადემიაში. კ. კ. ექვემდებარებოდა რუსეთის იმპერიის სამხ. სამინისტროს სასწავლებელთა მთ. სამმართველოს. დაიხურა 1917. შენობა მდებარეობდა თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზ. 33).

კ. კ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი, 1992 თებ. საქართვე. ეროვნ. უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს №7/23 დადგენილებით 1992 სექტ-ში თბილისის ყოფ. უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა კ. კ. – სამ. სასწავლებელი

გადღიერებული სამხ.-ფიზ. მომზადებითა და უცხ. ენების სწავლებით; მისი ამოცანა იყო მოემზადებინა თარჯიმნები საქართვე. შეიარაღებული ძალებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა თავდაპირველად 4, შემდგომ - 3 წელი იყო. 1994 შეიცვალა სასწავლებლის ორიენტაცია და ძირითად ამოცანად დაისახა კადრების მომზადება თბილ. გაერთიანებული სამხ. აკადემიისათვის და საზღვარგარეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის. 1995 კ. კ. განთავსდა კ. ლესელიძის სპეც. სკოლაინტერნატის სამხ. ქალაქში. კ. კ-ში იღებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლის 9-კლასდამთავრებულებს. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა დაწყ. სამხ. და ფიზ. მომზადებას, უცხ. ენებს. კ. კ-ის აღსაზრდელები სამხ. ტანსაცმელს ატარებდნენ, ცხოვრობდნენ ყაზარმულ პირობებში, სამხ. დღის განაწესით. კ. კ-ს სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკები: დ. მამისაშვილი (1992-94 იანვ.), ს. ზერეკიძე (1994-იდან). 2001 კ. კ. გაუქმდა. 2010 დაარსდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ქ. ქუთაისში.
